ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოში გუგუნებდა სამბა

MEXICO 70

„როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების მატჩი დამთავრდა, რიო-დე-ჟანეიროს ათასობით მცხოვრები ქუჩაში გამოვიდა“, — იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. თუმცა ეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა მხოლოდ პირველი მატჩი იყო ოქროს ქალღმერთის ამჟამინდელ გათამაშებაში. ტემპერამენტიანი გულშემატკივრები ისე ზეიმობდნენ წარმატებას, თითქოს მათს კერპებს ფინალი მოეგოთ. ქუჩებში გუგუნებდა სამბა. ერთი სიტყვით, გაუთვალისწინებელი კარნავალი მოეწყო.

„გუშინ პერუს დღე იყო, დღეს ბრაზილიისა“ — ასეთი ანშლაგი გაჩნდა გაზეთ „ულტიმა ორას“ ფურცლებზე. „ჟორნალ დოს სპორტსი“ წერდა: „ბრაზილია მესამედ ჩამოიტანს თასს“. აი, ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პელეს გუნდის გამარჯვებამ.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა თავიანთ გაზეთებს გადასცეს ანგარიშები, სადაც წერენ, რომ ქედს იხრიან ბრაზილიელთა ბრწყინვალე თამაშის წინაშე. „ისინი, როგორც ჩანს, მართლა არ ხუმრობდნენ, როცა ამბობდნენ, ყველა მეტოქეს ვაჯობებთო“. მაგრამ ინგლისელების უმეტესობა ამტკიცებს, რომ მათ თანამემამულეებს კიდევ უნდა ჰქონდეთ რაღაც იმედის სხივი კვირის თამაშის წინ: ბრაზილიელებს დაცვის ხაზში ზოგიერთი ხარვეზი ეტყობათ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა მწვრთნელი ზაგალო გახარებული გამოცხადდა პრეს-კონფერენციაზე. მან თქვა: „ჩეხოსლოვაკიელები სერიოზული მეტოქეები არიან. ისინი კიდევ ბევრ უსიამოვნებას მიაყენებენ ჩვენი ქვეჯგუფის სხვა გუნდებს“. ზაგალო კმაყოფილი იყო ბრაზილიური ფეხბურთის ორი ვარსკვლავის ტოსტაოსა და პელეს ოსტატობით. მაგრამ მწვრთნელის აზრით, პელე მაინც უკეთ თამაშობდა. „იგი ხელმძღვანელობდა თამაშს, ნაყოფიერად მოქმედებდა მინდვრის ცენტრში. ერთი სიტყვით, ეს იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში“.

„კენჭისყრამ ჩეხოსლოვაკიელები უძლიერეს გუნდებს — ბრაზილიასა და ინგლისს შეახვედრა. — წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“. — და თუ პირველი ნახევარი თანაბარ მეტოქეთა ბრძოლა იყო, მეორე ნახევარი სხვაგვარად წარიმართა. ჩვენები დაიქანცნენ, სუნთქვა უჭირდათ. ჩეხოსლოვაკიისა და ბრაზილიის მატჩმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რა დიდ სიძნელეებს შეხვდებიან ევროპის გუნდები უჩვეულო და მძიმე პირობების გამო.“

ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი უალრესად მაღალ შეფასებას აძლევს ბრაზილიის გუნდის თამაშს. მათი აზრით, პელემ კვლავ დაადასტურა, რომ შსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეა. „პელე შეუდარებელი იყო, ბრწყინვალე, განსაცვიფრებელი“ — წერს გაზეთ „პრაცეს“ კომენტატორი.

საბჭოთა ნაკრების [illegible] ბელგიის გუნდის მწვრთნელმა თქვა, რომ სალვადორელებთან მატჩი შეიძლებოდა დამთავრებულიყო ანგარიშით 7:0. მაგრამ გუტალსი არ აკრიტიკებდა თავის მოთამაშეებს. იგი ძირითადად აქებდა მეტოქეთა მეკარეს მახანუს. მან თქვა, რომ ბელგიელები განგებ არ აჩქარებდნენ თამაშის ტემპს, ცდილობდნენ ძალები შემოენახათ სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩისთვის, რომელიც შაბათს უნდა ჩატარდეს.

იტალიის გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ დღეს გამოაქვეყნა მეხიკოდან მიღებული კორესპონდენცია, რომელიც... სსრ კავშირ—ბელგიის მატჩს ეძღვნება. ავტორი ბევრს წერს საბჭოთა ფეხბურთელების პირველ გამოსვლაზე, კაჩალინის დასკვნებზე, ვინ როგორ ფორმაშია საბჭოთა მოთამაშეებიდან.

შვედ მიმომხილველებს გული გაუტეხა მათი გუნდის მარცხმა იტალიელებთან. უმეტესობამ დაადანაშაულა მეკარე ჰელსტრემი და ... მეტოქეთა სასტიკი დაცვა. ამავე დროს, ჟურნალისტებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ

(დასასრული იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФЛОМ

№ 109 (4103)

1970 წ. 6 ივნისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

I მეხიკო

სსრ კავშირი		0:0		
მექსიკა	0:0			
ბელგია				3:0
სალვადორი			0:3	

II ტოლუკა, ვუეგლა

ურუგვაი		2:0		
ისრაელი	0:2			
იტალია				1:0
შვეცია			0:1	

III გვადალახარა

რუმინეთი		0:1		
ინგლისი	1:0			
ჩეხოსლოვაკია				1:4
ბრაზილია			4:1	

IV ლეონი

პერუ		3:2		
ბულგარეთი	2:3			
მაროკო				1:2
გფრ			2:1	

„უფრთხილდით... ახალ შემადგენლობას“

ბელგიელებთან მატჩის წინ

ბელგიის გაზეთ „სუარის“ კორესპონდენტი მეხიკოში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს გ. კაჩალინს ეწვია და ინტერვიუ ჩამოართვა. „საბჭოთა სპეციალისტმა, — წერს კორესპონდენტი, — მაღალი შეფასება მისცა ჩვენი გუნდის თამაშს“. შემდეგ მას მოჰყავს კაჩალინის სიტყვები: „ბელგიელებს საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი ყველა გუნდისთვის საშიში მეტოქენი არიან. ამიტომ მე და ჩემი ბიჭები მხედველობიდან არ გავუშვებთ მათს არც ერთ მოძრაობას“.

„სუარის“ მეორე მიმომხილველი აღნიშნავს, რომ „მექსიკელებთან ფრე, როგორც ჩანს, ხელს აძლევდა საბჭოთა გუნდს. ორშაბათს მათ განაახლეს ვარჯიში. სისწრაფე და ენთუზიაზმი საუკეთესო საბუთია იმისა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები კარგად იტანენ სიმაღლეს“.

კაჩალინმა ბელგიელ ჟურნალისტებს აგრძნობინა, რომ მომავალ მატჩში საბჭოთა გუნდი განახლებული შემადგენლობით გამოვა. ამან ჩვენი მეტოქეები საგონებელში ჩაგდო. ბელგიელები საბჭოთა გუნდის ვარჯიშზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კისელიოვს, რომელიც „ხშირად ურტყამდა კარში შორი მანძილიდან“. მათი აზრით, ბევრ უსიამოვნებას მოუტანს ბელგიელ ფორვარდებს მარჯვენა მცველი ძოძუაშვილიც, რომელიც წინა მატჩზე შეუძლოდ იყო. დასასრულს ბელგიელი ჟურნალისტი აფრთხილებს თანამემამულეებს: „უფრთხილდით საბჭოთა გუნდის ახალ შემადგენლობას!“.

დღეს

გაიმართება IX მსოფლიო ჩემპიონატის II ტურის 4 მატჩი: სსრ კავშირი—ბელგია, ურუგვაი — იტალია, რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია და პერუ—მაროკო.

მესამე კალენდარული დღე

ბელგია — სალვადორი 3:0 (1:0). როგორც მოსალოდნელი იყო, ბელგიელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა ვან მურმა. მანვე შესვენების შემდეგ (54-ე წ.) მეორე ბურთი გაიტანა სალვადორელთა კარში. 79-ე წუთზე ლამბერტმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში 3-მდე გაზარდა.

იტალია — შვეცია 1:0 (1:0). ეს იყო მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლა. ერთადერთი ბურთი მე-11 წუთზე გაიტანა დომენგინიმ. შვედებმა ყველაფერი იღონეს ანგარიშის შესაცვლელად, მაგრამ ვერაფრით ვერ გასტეხეს იტალიელთა ორგანიზებული დაცვა.

გფრ — მაროკო 2:1 (0:1). მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, გფრ-ის ნაკრებმა ბევრი უსიამოვნება გადაიტანა ამ მატჩში. ანგარიში 21-ე წუთზე მაროკოელმა ხუმანმა გახსნა. ამის შემდეგ მთელი 35 წუთის მანძილზე წინ იყვნენ აფრიკელი ფეხბურთელები. მაგრამ 56-ე წუთზე გერმანელთა გუნდის ვეტერანმა ზეელერმა ბოლოს და ბოლოს გაიტანა საპასუხო გოლი. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე მიულერმა გადამწყვეტი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.

ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 4:1 (1:1). ანგარიში ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელმა გახსნა (პეტრაში, მე-11 წუთი), მაგრამ შესვნებამდე ბრაზილიელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა (რიველინო, 24-ე წუთი). II ტაიმში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის უპირატესობა უდავო იყო — გოლები გაიტანეს: პელემ (მე-60 წუთი) და ორჯერ ჟაირზინიომ (64-ე და 83-ე წუთები).

სურათზე: საბჭოთა ფეხბურთელები მეხიკოს ქუჩებში (მარცხნიდან) — ნ. კისელიოვი, გ. ლოგოფეტი, ვ. პარკუიანი და რ. ძოძუაშვილი.

სამზადისი აქედანვე დაიწყო

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება 1970-1971 წლების სეზონში საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის VII სპარტაკიადის ჩატარების შესახებ და პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალურ და რესპუბლიკურ საბჭოებს, „კოლმეურნისა" და „შრომითი რეზერვების" საბჭოებს, კომკავშირისა და ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალეს:

მომავალ ზამთარში ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ჩაატარონ შიდასაკოლექტივო მასობრივი სპარტაკიადები და უზრუნველყონ ამ შეჯიბრებებში მოსწავლეების, მუშა-მოსამსახურეების, კოლმეურნეებისა და მათი ოჯახის წევრთა მონაწილეობა, სექციების რეგულარული მუშაობა, ადგილებზე დასახმარებლად მიავლინონ გამოცდილი მწვრთნელები.

ტურიზმისა და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭოებმა ბაკურიანში, სადაც ჩატარდება პროფკავშირთა რესპუბლიკური ზამთრის სპარტაკიადის ფინალი, მონაწილენი უზრუნველყონ ბინითა და კვებით.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაეხმარება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაში ზამთრის იმ სახეობებში, რომლებშიც საქართველო პროფკავშირთა ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადაში გამოვა.

სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების, მშენებლობების, სასწავლებლების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ეთხოვათ სპორტულ ორგანიზაციებს ყველა პირობა შეუქმნან ფიზკულტურელთა სრულწლიური ვარჯიშისთვის, სპორტსმენები სპარტაკიადისთვის მზადებისა და შეჯიბრებების პერიოდში სამუშაოდან გაათავისუფლონ საშუალო თვიური გამომუშავების, სტიპენდიის შენახვით.

საქსპორტვაჭრობის სამმართველოს დაევალა საქართველოს ნაკრების წევრები უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სპორტინვენტარითა და ფორმით.

სპარტაკიადისთვის მზადებისა და მისი მაღალ დონეზე ჩატარებისთვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი 24 კაცის შემადგენლობით. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა დაევალა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს ო. ცანავას.

საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ თავმჯდომარის მოადგილეები: ი. ბოჭორიძე („განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე), ნ. ფოფხაძე (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ა. მხეიძე (ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი). საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: ზ. ფორაქიშვილი (უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე), მ. ბეროზაშვილი (განათლების მინისტრის მოადგილე), შ. ახვლედიანი (ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი), მ. ეკიზაშვილი (აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარე), შ. შარტავა (აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე), რ. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე), ა. გობიანიძე (ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს თავმჯდომარე), ვ. კავაძე (სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე), დ. იოსელიანი (განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე), მ. კაკაბაძე („ლელოს" რედაქტორი), რ. პოპოვა (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურისა და მასობრივ-თავდაცვითი განყოფილების გამგე), ვ. ჟღენტი („კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე), თ. კაჭახიძე („ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე), ა. კორინთელი („სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), გ. ცქიტიშვილი („ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), ს. მეგრელიშვილი („შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), ვ. იორაიშვილი („ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), ფ. ნავერიანი (ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარი მწვრთნელი სპორტის ზამთრის სახეობებში), ა. ბალაევიჩი (საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სპორტის ზამთრის სახეობების კათედრის გამგე), ლ. ანდღულაძე (საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორი).

სპორტული ივნისი

ზაფხულის პირველი თვე მდიდარია სპორტული შეჯიბრებებით. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

აკადემიური ნიჩბოსნობა

6—7. საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის დიდი რეგატა" (მოსკოვი).

13—14. საერთაშორისო შეჯიბრება ჭაბუკთა შორის „დიდი მდინარის პრიზზე" (ფსკოვი).

13—14. საერთაშორისო შეჯიბრება „რატცენბურგის რეგატა" (გფრ).

20—21. საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა შორის „გრიუნაუს რეგატა" (გდრ).

აფროსნობა

6—15. ბალტიის XXII რეგატა. მონაწილეობენ უცხოელი სპორტსმენებიც (ტალინი).

ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა

6—7. საკავშირო შეჯიბრება (შაულიაი).

ბალახის ჰოკეი

20—23. სსრ კავშირის ჩემპიონატი. წინასწარი შეჯიბრებები (ერევანი, მოსკოვი, პერვოურალსკი, სიზრანი).

26. VI — 4. VII. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ფინალური შეჯიბრება (ულიანოვსკი).

ველოსპორტი

6—11. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე რბოლაში ლენინგრადისა და ტულის დიდ პრიზებზე.

11—21. ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი შეჯიბრება „მეგობრობის პრიზზე" (ლიტვა, პოლონეთი).

13—18. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე მილანისა და ტურინის დიდ პრიზებზე (იტალია).

26—28. საკავშირო შეჯიბრება ტრეკზე რბოლაში (ტულა).

26. VI — 5. VII. საერთაშორისო შეჯიბრება საგზატკეცილო რბოლაში — „ირლანდიის ტური", მიძღვნილი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (ირლანდია).

თავისუფალი ჭიდაობა

8—10. ევროპის ჩემპიონატი (გდრ).

თანამედროვე ხუთჭიდი

21—30. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მოსკოვი).

კლასიკური ჭიდაობა

11—13. ევროპის ჩემპიონატი (გდრ).

კრივი

27—28. გაზეთ „ფოლკსშტიმეს" საერთაშორისო შეჯიბრება (ავსტრია).

მაგიდის ჩოგბურთი

27—28. გაზეთ „ფოლკსშტიმეს" საერთაშორისო შეჯიბრება (ავსტრია).

მოტოსპორტი

6. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი წიდოვან ბილიკზე რბოლაში (ჩეხოსლოვაკია).

7. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი წიდოვან ბილიკზე რბოლაში (პოლონეთი).

7. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში (პოლონეთი).

14. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში (ჩეხოსლოვაკია).

28. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპის ზონის ფინალური შეჯიბრება (გფრ).

მძლეოსნობა

7. საერთაშორისო შეჯიბრება. გაზეთ „ტრუდის" პრიზზე 30 კილომეტრზე რბენა (მოსკოვი).

10—11. საერთაშორისო შეჯიბრება რბენაში გაზეთ „პრავდის" პრიზზე (მოსკოვი).

13—14. საერთაშორისო შეჯიბრება „ნეპსავის თასზე" (უნგრეთი).

17. საერთაშორისო შეჯიბრება „ოლიმპიური დღე" (გდრ).

19—21. საერთაშორისო შეჯიბრება ი. კუსოჩინსკის მემორიალი (პოლონეთი).

23. საერთაშორისო შეჯიბრება ე. როშიცკის მემორიალი (ჩეხოსლოვაკია).

საცხენოსნო სპორტი

22—28. მსოფლიო ჩემპიონატი გახედნაში (გფრ).

ტანვარჯიში

23—28. ფინეთისა და სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება (ფინეთი).

27—28. გაზეთ „ფოლკსშტიმეს" საერთაშორისო შეჯიბრება (ავსტრია).

ფარიკაობა

6—9. რაპირისტ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

6—7. ესპადრონისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეობენ რსფსრ-ს სპორტსმენები (რუმინეთი).

13—17. საკავშირო შეჯიბრება ყველა სახეობის იარაღში (ბარნაული).

ფრენბურთი

10. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ქალთა შორის (უნგრეთი).

21. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ქალთა შორის (მოსკოვი).

ჩოგბურთი

6. VI — 2. VII. საერთაშორისო შეჯიბრებები და უიმბლდონის ტურნირი (ლონდონი).

13—15. საერთაშორისო შეჯიბრება დევისის თასზე. III წრე. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (მოსკოვი).

ძალოსნობა

20—28. ევროპის ჩემპიონატი (უნგრეთი).

ძიუდო

23—30. იაპონიისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა შეჯიბრება (იაპონია).

წყალბურთი

10—14. სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის. I წრის I ტური (ალმა-ათა, ლვოვი).

10—20. მოსკოვის, ლენინგრადისა და ბელგრადის გუნდების შეჯიბრება (მოსკოვი, ლენინგრადი).

23—29. სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გდრ).

ჭადრაკი

16. VI — 5. VII. ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები (მინსკი, ტარტუ).

23. VI — 6. VII. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).



სპორტი ქანდაკებაში, ტილოზე, გრაფიკაში...

ამ დღეებში საქართველოს მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ. №2) გაიხსნა რესპუბლიკური გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში". აქ წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, ჭედური ხელოვნების 120-მდე ნიმუში.

გამოფენას, რომელიც ამიერიდან ტრადიციად იქცევა, ნახავენ სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში.

ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხატვრებმა უ. ჯაფარიძემ, დ. თავაძემ, უ. მეძმარიაშვილმა, ნ. მეტონიძემ, მ. თალაკვაძემ, ლ. შენგელიამ, ო. სულავამ; ფიზკულტურისა და სპორტის წარმომადგენლებმა ე. გოკიელმა, ვ. კუხიანიძემ, ა. დოკვაძემ, დ. მიქაბერიძემ, თ. სისორდიამ, ს. კალანდაძემ და სხვ.

ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ როგორც საქართველოს მხატვართა კავშირის, ისე ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლები, შეაჯამა გამოფენის შედეგები. კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გ. გულისაშვილი (ფერწერული ნამუშევარი. „ცხენბურთი"), გ. ქუთათელაძე (გრაფიკა. „ისინდი"), ვ. სახვაძე (ქანდაკება. „ნონა გაფრინდაშვილი"), ე. აფხაიძე (ჭედური ხელოვნება. „რეგბი").

გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში" 15 ივნისამდე გასტანს.

ო. ოთარაშვილი.

სურათებზე: ვ. სახვაძე — „ნონა გაფრინდაშვილი"; ნ. მეტონიძე — „ვირაჟზე"; რ. გვაზავა — „მხატვრული ტანვარჯიში"; ჯ. მირზაშვილი — „ფალავანი".

ღირსეულთა გამოვლენისთვის

მაყურებლები, რომლებიც ამ დღეებში თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზში საქართველოს უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირს ესწრებოდნენ, შეჯიბრების ახალ სისტემას გაეცნენ. ამ სისტემას სავსებით ახალს ვეღარც კი ვუწოდებთ, რადგან საკავშირო შეჯიბრების პრაქტიკაში იგი კარგა ხანია დამკვიდრდა. მისი არსი ასეთია: ტურნირი თითოეულ სახეობაში ორ წრედ იმართება, ესე იგი, ფაქტიურად, სპორტსმენი ზედიზედ ორ ტურნირში მონაწილეობს, რომელთა შედეგები საბოლოოდ ჯამდება და მოფარიკავე დაგროვილი ქულების მიხედვით სათანადო ადგილს იკავებს. ანალოგიური შეჯიბრება წელიწადში ორჯერ გაიმართება. მისი მიზანია გამოავლინოს ნამდვილად უძლიერესი მოფარიკავეები, გამორიცხოს შემთხვევითობის ფაქტორი და ხელი შეუწყოს სპორტსმენთა უკეთ დაოსტატების საქმეს. ეს პრინციპი უებარი ხერხია ნაკრები გუნდის ღირსეული წევრების შესარჩევად.

საქართველოს უძლიერეს მოფარიკავეთა ასპარეზობის II წრემ პრაქტიკულად დაგვარწმუნა ახალი სისტემის ეფექტურობაში. სპორტსმენებმა გაითვალისწინეს, გააანალიზეს I წრეში დაშვებული შეცდომები და მომდევნო წრეში უფრო მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ორი წრის ტექნიკური შედეგები

ხმალი. 1. დ. შარაშენიძე, 2. გ. ლორთქიფანიძე, 3. რ. ბინინაშვილი.

დაშნა. 1. გ. კოსტავა, 2. ზ. ცქიტიშვილი, 3. გ. ზურაბიშვილი.

რაპირა. ვაჟები. 1. ნ. ჩიტიშვილი, 2. ა. ბობოხიძე, 3. ა. აფციაური.

ქალები. 1. დ. ბუხრაშვილი, 2. ნ. ლაბაძე, 3. ნ. გვენეტაძე.

(დახასრული)

რიოში გუგუნებდა სამბა

იტალიელთა „ოქროს იმედი“ რივა საიმედოდ იყო ჩეკეტილი. მათი აზრით, ეს ნიშნავს, რომ შეედებს შეუძლიათ გასაჭანი არ მისცენ ურუგვაელთა ფორვარდებსაც. საფეხბურთო „ტრე კრუნურის“ მწვრთნელმა ბერგმარმა აღიარა: „ახლა გუნდს გაუჭირდება მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ შეუძლებელი აქ მაინც არაფერია. საბოლოო პასუხი უნდა გაგვცეს ურუგვაელებთან თამაშმა“.

ჟურნალისტები ბერგმარკს ურჩევენ ზოგიერთი ცვლილება შეიტანოს გუნდში და თავის მოთამაშეებს აუხსნას, რომ ისინი საშიშ ძალას წარმოადგენენ მაშინ, როცა გაშლილი ფრონტით იბრძვიან და მინდვრის ცენტრში ჯგუფ-ჯგუფად არ იყრიან თავს.

„ასეთი საცარი სტარტის შემდეგ გფრ-ის გუნდს ფავორიტად ვერავინ მიიჩნევს, — წერს ჰამბურგის გაზეთი „ბილდ ცაიტუნგის“ კორესპონდენტი. —ჩვენი გუნდის გულშემატკივრები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ბულგარეთისა და პერუს ნაკრებ გუნდებთან მათი კერპები შეიძლება დამარცხდნენ კიდეც“.

„გფრ — მაროკო — 2:1, ძლივს გადარჩნენ...“ ასეთი ანშლაგი მისცა გაზეთმა „აბენპოსტ-ნაჰტაუსგაბემ“.

დასავლეთგერმანელთა გუნდის მწვრთნელმა ჰ. შიონმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას გული დაწყვიტა ფეხბურთელთა შეუთანხმებელმა თამაშმა. „მათ ვერა და ვერ მოძებნეს სწორი რიტმი. ნერვიულობდნენ. ჩვენი მთავარი ნახევარმცველი ბელტუ ალერკი აშკარად ფორმაში არ იყო“. მეორე მხრივ მაროკოელი ფეხბურთელები ფრთხილობდნენ და მაყურებელთა მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. ჩრდილოეთ აფრიკის გუნდის მწვრთნელმა ვიდინიჩმა თქვა, რომ იგი ვარაუდობდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან დიდი ანგარიშით დამარცხებას. მაგრამ დებიუტანტებისთვის ასეთი შედეგიც საპატიოაო.



● IX მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას 112.500 მაყურებელი დაესწრო. თითოეულ გულშემატკივარს „აცტეკზე“ მისასვლელად საშუალოდ 4 საათი დასჭირდა. 20 მილიონი მექსიკელი გახსნის საზეიმო ცერემონიალს და პირველ მატჩს ტელევიზიით აღევნებდა თვალს. აუდიტორიის ასეთი სიმრავლე გამოწვეული იყო იმით, რომ მეხიკოსა და სხვა ქალაქებში აშენდა სპეციალური ტელედარბაზები ვებებერთელა ეკრანებით.

● მექსიკის დედაქალაქის ავტობუსების მძღოლებმა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით შეწყვეტეს გაფიცვა. „სრულიადაც არ გვინდა სიცოცხლე გავუმწაროთ გულშემატკივრებს“, — განაცხადა გაფიცულთა წარმომადგენელმა.

● უბილეთოდ დარჩენილმა ფეხბურთის გულშემატკივრებმა, სრულიად მოულოდნელად, ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. სალაროებში გასაყიდად გამოვიდა 50 ათასი ბილეთი. საქმე იმაა, რომ უცხოეთის ზოგიერთმა ტურისტულმა სააგენტომ არ შეისყიდა წინასწარ შეკვეთილი ბილეთები. განსაკუთრებით გაუგებარია ბრაზილიელთა პასიურობა, რომლებიც იქვე „ყურის-ძირში“ ცხოვრობენ.

● ბელგიისა და სალვადორის ნაკრები გუნდების შეხვედრაში იმსაჯა რუმინელმა ა. რადულესკუმ. მან თანხმობა განაცხადა შეეცვალა იუგოსლავიელი დ. ხორვატი, რომელიც ამ შეხვედრის არბიტრად იყო დანიშნული, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო.

● გახულ კვირას 25 მილიონი ინგლისელი, ანუ მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ადევნებდა თვალს ტელერეპორტაჟს. ჟურნალისტების გამოთვლით, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა თავისი ტელეპროგრამის დიდ ნაწილს ჩემპიონატს უთმობს. ასე მაგალითად, ფეხბურთის მატჩებს მთელი დღე გადმოსცემენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

● შვეიცის სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ბევრ ქვეყანაში ოჯახური უსიამოვნების საბაბი გახდება. რატომ? იმიტომ, რომ მამაკაცებს მატჩების დროს ვერავითარი ძალა ვერ მოსწყვეტს ცისფერ ეკრანებს.

● ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის წინადღეს ბრაზილიელი ფორვარდი რობერიო, რომელმაც ცოტა ხნის წინ ტრავმა მიიღო, გვადალახარადან ლეონში გაემგზავრა. მან უნდა დაზვეროს პოტენციური მეტოქის — გფრ-ის ნაკრების თამაში. „სხვა მატჩის ყურება, როცა ბრაზილიელები თამაშობენ? ასეთი დიდი მსხვერპლი მხოლოდ ეროვნული მოტივებით შეიძლება გაიღოს ადამიანმა“, — განაცხადა დანაღვლიანებულმა რობერიომ.

● ფეხბურთის მეფემ — პელემ მექსიკაში ყოფნის დროს ოთხი სიმღერა დაწერა. მუსიკა ფეხბურთელის ჰობია. ჟურნალისტების შეკითხვას, თავისი რომელი სიმღერა მოსწონს ყველაზე მეტად, პელემ უპასუხა: „ჯერ ერთი, ჩემი ყველა ნაწარმოები უსახელოა, ამიტომ ისინი არასდროს დამაბარისხებია. მეორეც, მე ყველა სიმღერა ერთნაირად მომწონს და მიყვარს“.

● ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე თექვსმეტ მექსიკელ გოგონას მოჰქონდა ტრანსპარანტები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ფინალის მონაწილე ქვეყნების სახელწოდება. საზეიმო სვლის მონაწილე გოგონებმა მკაცრი კონკურსი გაიარეს. რჩეულთა ასაკი, როგორც წესი, არ აღემატება 22 წელს, სიმაღლე — 168 სმ-ს. გოგონებს, ამავე დროს, უნდა სცოდნოდათ წერა-კითხვა, სულ ცოტა, სამ უცხოურ ენაზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 300-მდე მსურველმა და სწორედ ამათგან შეირჩა საზეიმო ცერემონიალის 16 მონაწილე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ჯგუფი

1 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით თბილისის „ლოკომოტივისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ შეხვედრის შესახებ. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0, ასკ (კიევი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:3, „დაუგავა“ (რიგა) — „სტროიტელი“ (ალმა-ათა) 1:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 2:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ყაირათი“ (ალმა-ათა) 1:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	10	7	3	0	14—2	17
„პრ. სოვეტოვი“ (ყუიბიშევი)	10	7	2	1	12—1	16
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	10	5	4	1	15—7	14
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	9	6	2	1	12—5	14
„კარპატი“ (ლვოვი)	10	4	4	2	13—7	12
ასკ (ხაბაროვსკი)	10	4	3	3	7—3	11
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	10	4	3	3	6—9	11
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	10	4	2	4	11—10	10
„რუბინი“ (ყაზანი)	10	4	2	4	9—8	10
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	10	2	6	2	8—9	10
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	10	3	4	3	7—10	10
„ცალგირისი“ (ვილნიუსი)	9	2	5	2	8—7	9
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	10	2	5	3	4—7	9
„ყაირათი“ (ალმა-ათა)	9	2	4	3	9—9	8
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	10	3	2	5	10—11	8
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	10	2	4	4	5—7	8
„პამირი“ (დუშანბე)	10	3	2	5	3—12	8
ასკ (კიევი)	10	3	1	6	12—14	7
„ალგა“ (ფრუნზე)	9	2	3	4	4—8	7
„დინამო“ (ლენინგრადი)	10	2	3	5	9—16	7
„დაუგავა“ (რიგა)	10	2	3	5	5—15	7
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	10	1	1	8	4—16	3

ჯუჯუნა...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივი „ლოკომოტივი“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ მასპინძლობდა. გამარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

ბოლო მოლდოველი — „ნევთჩი“

ტაშკენტი, 5 ივნისი. გუშინ შედგა სსრ კავშირის თასის ბოლო მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ფახთაქორსა“ და ბაქოს „ნევთჩის“ შორის. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი ბაქოში აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით — 4:0 მოიგეს.

პირველი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა ისაკოვმა („ფახთაქორი“), მაგრამ სულ მალე ალი-ზალემ წონასწორობა აღადგინა. პირველ ტაიმში მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს.

შეხვედრის შემდეგ მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. მათ ორჯერ შეარხიეს აზერბაიჯანელთა კარის ბადე და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:2. მეოთხედფინალში მაინც „ნევთჩი“ გავიდა, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდა.

2 ივნისს ტყიბულში და ცხინვალში გამართული მატჩების შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიტყობინებოდით. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1, „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 5:0, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „კახეთი“ (თელავი) 2:0, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „ტორპედო“ (ეისკი) 0:0.

„ბ“ ჯგუფი

I ჩვეიგუფი, II ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (რუსთავი)	6	3	3	0	6—3	9
„ტორპედო“ (ეისკი)	6	3	2	1	12—4	8
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	6	2	4	0	5—2	8
„მეშახტე“ (ტყიბული)	6	2	4	0	8—6	8
„კახეთი“ (თელავი)	6	3	1	2	9—6	7
„კოლხეთი“ (ფოთი)	6	1	5	0	9—6	7
„სპარტაკი“ (სარანსკი)	6	2	3	1	4—2	7
„მერცხალი“ (მახარაძე)	6	3	1	2	7—6	7
„სპარტაკი“ (რიაზანი)	6	3	0	3	11—9	6
„პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი)	6	1	4	1	8—6	6
„ბურია“ (ლანჩხუთი)	6	2	2	2	6—4	6
„მეტალურგი“ (კრასნი სულინი)	6	2	1	3	5—8	5
„სულორი“ (ვანი)	6	1	3	2	4—9	5
„დინამო“ (სოხუმი)	6	1	2	3	5—7	4
„სპარტაკი“ (ტამბოვი)	6	1	2	3	4—7	4
„ორბიტა“ (ბელაია კალიტვა)	6	1	2	3	4—7	4
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	6	1	2	3	3—9	4
„ალაზანი“ (გურჯაანი)	6	1	1	4	4—13	3

სნაიპერები და გოლები

◆ IX მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა ბულგარეთის ნაკრების ფორვარდმა დერმენჯიევმა. ეს მოხდა პერუელებთან მატჩის მე-12 წუთზე, 2 ივნისს, ლეონში. პირველი ტურის ბოლო გოლის ავტორია ბრაზილიელი ჟარჟინიო. მან 83-ე წუთზე მეოთხე ბურთი გაიტანა ჩეხოსლოვაკიელთა კარში და ამით დააგვირგვინა თავისი გუნდის ლამაზი, დამაჯერებელი გამარჯვება.

◆ ჩემპიონატის პირველი პენალტი დანიშნა რუმინელმა მსაჯმა ა. რადულესკუმ. ბელგია—სალვადორის მატჩის 79-ე წუთზე სალვადორელებმა „მოცქლეს“ სემელინგი. დაზარალებულის თანაგუნდელმა ლამბერტმა ზუსტად გამოიყენა პენალტი.

◆ ჯერ, რა თქმა უნდა, ადრეა ლაპარაკი ჩემპიონატის სნაიპერებზე, მაგრამ ამ საპატიო სახელის პირველი პრეტენდენტები უკვე გამოჩნდნენ. ესენი არიან ბრაზილიელი ჟარჟინიო და ბელგიელი ვან მური, რომლებსაც აქტივში 2-2 გოლი აქვთ.

მეტოქის კარში თითო ბურთი გაიტანეს: დერმენჯიევმა, ბონევმა (ორივე — ბულგარეთი), გალარდომ, ჩუმპიტასმა, კუბილასმა (სამივე — პერუ), მანვირომ, მურკამ (ორივე — ურუგვაი), პერსტმა (ინგლისი), ლამბერტმა (ბელგია), ხუმანმა (მაროკო), ზეელერმა, მიულერმა (ორივე — გფრ), პეტრაშმა (ჩეხოსლოვაკია), რიველინომ, პელემ (ორივე — ბრაზილია) და დომენგინიმ (იტალია).

◆ მექსიკის ჩემპიონატის სტარტი თითქმის ანალოგიაა ლონდონის ჩემპიონატისა. პირველი ტურის შემდეგ „მექსიკელმა“ ფორვარდებმა შეტოქეთა კარში 20 ბურთი გაიტანეს. ოთხი წლის წინ თავდამსხმელთა შედეგიანობის მაჩვენებელი ციფრი იყო (I ტურის შემდეგ) 21. ინგლისში ბომბარდირთა სიას თავიდანვე 5 ფეხბურთელი ჩაუდგა სათავეში (პირველი კალენდარული მატჩის შემდეგ 2-2 ბურთი ჰქონდათ გატანილი გერმანელებს ჰალერს, ბეკენბაუერს, არგენტინელ არტიმეს, პორტუგალიელ აუგუსტოს და ბაჰამთა გუნდის წევრს მალოფეევს), მექსიკაში კი სნაიპერთა რაოდენობა უფრო მცირეა, თუმცა ჩემპიონატი ჯერ ეს-ესაა დაიწყო.

◆ ჩემპიონატის სტარტზე უკვე 8 მატჩი ჩატარდა. ამ შეხვედრების ქრონოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ გოლის გატანა ყველაზე მეტად ორივე ტაიმის პირველ ათ წუთში ჭირს. სამაგიეროდ ყველაზე ეფექტურად ფეხბურთელები თამაშობენ მე-10-დან — მე-20 წუთამდე და 55-დან 65-ე წუთამდე. გთავაზობთ ცხრილს, რომლიდანაც ნათლად ჩანს, როდის არიან ყველაზე აქტიური ფეხბურთელები: პირველი 10 წუთი — 0 გოლი, მეორე 10 წუთი — 5 გოლი, მესამე 10 წუთი — 3 გოლი, დარჩენილი 15 წუთი — 1 გოლი, მეორე ტაიმის 10 წუთი — 2 გოლი, მეორე 10 წუთი — 5 გოლი, მესამე 10 წუთი — 1 გოლი, დარჩენილი 15 წუთი — 3 გოლი.

ბრაზილია — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი გმირი იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მარჯვენა გარემარბი უაირზინიო, რომელმაც მეტოქის კარში 2 ბურთი გაიტანა. სურათზე: უაირზინიო შეტევაზე.

VI 70 თბილისი გორი

ა. ნიკოლაუ — ათიდან 9 ქულა!

გორი, 5 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ტურნირის ფინიშზე იმდენი გადადებული პარტია დაგროვდა, რომ გუშინწინ მოჭადრაკეები წინასწარ დაგეგმილი დასვენების მაგიერ თამაშს მოუნდნენ. მონაწილეთა უმრავლესობამ დილით მაინც დაისვენა — დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, საბრძოლო დიდების მუზეუმი, ნავით გაისეირნა ნაჭარმაგევის ტბაზე.

საღამოს გ. ერისთავის სახელობის თეატრში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. ც. კახაბრიშვილი და ც. კობაიძე თამაშის განუახლებლად შეთანხმდნენ ყაიმზე. ყველა ელოდა, რომ კახაბრიშვილი ნ. ჩიქობავასთან მატერიალურ უპირატესობას გამოიყენებდა და მოიგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩიქობავამ და მისმა მწვრთნელმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. შიშოვმა ყაიმის შანსს მიაგნეს და კარგად გამოიყენეს იგი. შემდეგ კახაბრიშვილმა პოლონელ ქ. რაძიკოვსკასთან პარტიის დამთავრებისას უხეში შეცდომა დაუშვა, უფიგუროდ დარჩა და წააგო.

ჩიქობავამ მეთოდურად გამოიყენა უპირატესობა ალექსანდრიასთან შეხვედრაში და გაიმარჯვა. სსრ კავშირის ჩემპიონი ფორმაში ვერ არის. იგი ხშირად ცაიტნოტში ვარდება, ლოგიკურ შედეგამდე ვერ მიჰყავს კარგად აწყობილი პოზიცია. ეს ალბათ გადაღლის მიზეზია, რასაც ნანას ავადმყოფობაც დაერთო.

ე. კაკაბაძემ მოუგო რაძიკოვსკას. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო. თ. ხუგაშვილს კახაბრიშვილთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი აქვს.

4 ივნისს შედგა X ტური. ექიმმა ალექსანდრიას თამაშის უფლება არ მისცა და მისმა მეტოქემ ხუგაშვილმა საღამო მაყურებლებში გაატარა.

კაკაბაძემ ენერგიულად დალაშქრა იუგოსლაველ მ. მერლინის პოზიცია და გაიმარჯვა. რუმინელმა ა. ნიკოლაუმ ხელთ იგდო ინიციატივა და იერიშით დაატყვევა რაძიკოვსკას მეფე. კახაბრიშვილმა რთული ამოცანების წინაშე დააყენა ო. რუბცოვა, რომელმაც შექმნილ პოზიციას თავი ვერ გაართვა და დამარცხდა. ბულგარელმა ა. გეორგიევამ კარგ სტილში მოუგო ო. ანდრეევას. ჩიქობავა — ე. რუბცოვასა და კობაიძე — ლ. კოროშინაძის პარტიები გადაიდო. ჩიქობავას ორი პაიკი აკლია.

10 ტურის შემდეგ ა. ნიკოლაუს 9 ქულა აქვს, ე. რუბცოვას—7 და ერთი გადადებული პარტია, ა. გეორგიევას—6,5, ნ. ჩიქობავას — 6 (1), ო. ანდრეევას — 5,5, ლ. კოროშინაძეს — 5 (1), ხუგაშვილს — 4,5 (3).

თ. გიორგაძე.

ისინი გამოვლენ საკავშირო ჩემპიონატში

მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე კარგა დიდი დროა დარჩენილი (იგი გაიხსნება 28 დეკემბერს, ერევანში), მაგრამ უკვე ცნობილი გახდა ამ დიდი ფორუმის მონაწილეთა ვინაობა. ესენი არიან: ი. ავერბახი, ვ. ანტოშინი, ვ. ბაგიროვი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი, ო. დემენტიევი, ი. ზაიცევი, ვ. კარასიოვი, ა. კარპოვი, ნ. კროგიუსი, ვ. ლიბერზონი, ვ. მიკენასი, ო. მოისეევი, ი. პლატონოვი, ვ. ტუკმაკოვი, მ. ცეიტლინი.

რამდენიმე ვაკანტური ადგილის შევსება შეუძლიათ პერსონალურად მოწვეულ მსოფლიო ჩემპიონს ბ. სპასკის, აგრეთვე, ლ. პოლუგაევსკის, ე. გელერს, ვ. სმისლოვსა და მ. ტაიმანოვს, მაგრამ საკავშირო ტურნირის ვადებში ზემოხსენებული მოჭადრაკეები გამოვლენ (სპასკის გარდა) საზონათაშორისო ტურნირში და ერევანში მათ ადგილებს ალბად სხვა მონაწილეები დაიკავებენ.

ტელეტაიპი

ჩერნიგოვი, 3 ივნისი. გაიმართა უკრაინისა და პოლონეთის ახალგაზრდა ძალოსანთა ხამატჩო შეხვედრა. უკონკურსოდ მოასპარეზე კრივოი როგის სამთამადნო ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ა. კონოვალოვმა მძიმე წონის იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 148 კგ (მატჩში გაიმარჯვეს უკრაინელმა ათლეტებმა — 5:4).

ლენინგრადი, 3 ივნისი. ქალაქის სტუდენტ-მძლეოსანთა ასპარეზობაში 18 წლის ა. სპირიდონოვმა უროს ტყორცნაში იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდი (65,02 მ) დაამყარა. ბირთვის კვრაში მაღალი შედეგით (19,22 მ) გაიმარჯვა ვ. ვოიკინმა.

ლაიპციგი, 3 ივნისი. დამთავრდა ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის მეორე ნაკრები მონაწილეობდა. სამატჩო პისტოლეტით ჰ. ფოლმერმა (გდრ) 574 ქულა მოაგროვა, რაც მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს 2 ქულით აღემატება. მცირეკალიბრიანი შაშხანით მცირე სტანდარტი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ლ. ფაგერიოვამ (576) და ტ. რატნიკოვამ (574).

რიგა, 4 ივნისი. აქ დაიწყო მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი რიგის თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობს ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის 350 ათლეტი. ა. ლაზარევა-ოკოროკოვამ 185 სმ სიმაღლე დაძლია და სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. 100 მეტრი ლ. ხამოტიოსოვამ 11,7 წამში, ხოლო ა. კორნელიუკმა — 10,4 წამში გაირბინეს. 400 მეტრზე იმარჯვეს: ქალებში — მასპინძელმა ა. დუნდერემ — 55 წამი, ვაჟებში — ე. პარულსკიმ (პოლონეთი) — 47,0. შუბის ტყორცნაში ი. ლუსისი არ მონაწილეობდა. ყველას აჯობა ვ. ფელდმანისმა (რიგა) — 83,80 მ. ესეც საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში.

ახალი საერთაშორისო ასოციაცია

მოსკოვში მუშაობას განაგრძობს მოყვარულ მოკრივეთა ევროპული ასოციაციის კონგრესი, რომელმაც ერთხმად დაამტკიცა ახალი ორგანიზაციის წესდება. დელეგატებმა აირჩიეს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანო. ევროპული ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია საბჭოთა წარმომადგენელი ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი. ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ: რ. ლისოვსკი (პოლონეთი), გ. გურიეკი (რუმინეთი) და ფ. უორენი (ინგლისი).

ახალი ამბები

● სოფია, 3 ივნისი. გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის" პრიზზე აქ გამართულ ტურნირში სიგრძეზე ხტომა მოიგო მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა კ. ბეერმა (გდრ) — 787 სმ. მეორე იყო მოსკოველი ვ. საცევიჩი — 774; სიმაღლეზე ხტომაში იმარჯვა ე. კლემანმა (უნგრეთი) — 218, II ადგილზე გავიდა ს. მოსპანოვი (სსრ კავშირი) — 212. ევროპის რეკორდსმენმა რ. ბრუხმა (შვეცია) ბადრო 60,68 მეტრზე ტყორცნა.

● მოსკოვი, 3 ივნისი. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მძლეოსნების ასპარეზობაში ი. შჩერბაკმა ერთსაათიან სირბილში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი — 19 კმ 929 მ აჩვენა, ხოლო 20 კილომეტრი 1 საათსა და 11,8 წამში დაფარა. 200 მეტრზე რბენა მოიგეს ვ. მასკალიოვმა (21,1) და ნ. ბესფამილნაიამ — 23,7.

● სან-ხოსე, 3 ივნისი. ჯ. პენელი დაჟინებით უტევს ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდს. მან აქ გამართულ შეჯიბრებაში 518 სმ-ის დაძლევის შემდეგ პირდაპირ 551 სანტიმეტრის გადალახვა სცადა, მაგრამ ამაოდ. აქვე ე. ნივილამ ბადროს ტყორცნაში 61,20 მეტრი აჩვენა.

● პრაღა, 3 ივნისი. ი. კოლეში, ი. კუკალი, ფ. პალა და ი. გრეებეცი შეყვანილი არიან ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა ნაკრებში, რომელიც სსრ კავშირის გუნდს შეხვდება დევისის თასის გათამაშებაში. ეს მატჩი შედგება მოსკოვში 11-13 ივნისს.

● ბელგრადი, 3 ივნისი. ევროპის ჩემპიონმა მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა წყვილებში ა. სტიპანჩიჩმა გაიმარჯვა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში. ქალთა შორის ეს ტიტული მოიხვეჭა ე. კორპამ.

● კუიბიშევი, 3 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის ა. კარპოვმა რსფსრ-ს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მან დააგროვა 12,5 ქულა და უახლოესი მეტოქე, დიდოსტატი კროგიუსი 1,5 ქულით ჩამოიტოვა.

● მოსკოვი, 4 ივნისი. აქ მუშაობას განაგრძობს მოყვარულ მოკრივეთა ევროპული ასოციაციის დამფუძნებელი კონგრესი. მის საქმიანობაში მონაწილეობს 21 ქვეყნის დელეგაცია. კონგრესის საზეიმო გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

მანჩესტერი. „ჩელსის" ფეხბურთელები ინგლისის თასის გათამაშებაში გამარჯვებას ზეიმობენ „ლიდსის" გუნდთან დამატებითი მატჩის შემდეგ. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა „უემბლიზე" ფრედ — 2:2 — დამთავრდა. განმეორებითი შეხვედრა დამატებით დროში მოიგო „ჩელსიმ" — 2:1.

მოთამაშეები საბაზანოში სხედან და მოპოვებულ თასს შამპანურით ავსებენ.

ფეხბურთი — სრულ წელიწადს!

ნორვეგიაში დასასრულს უახლოვდება სტადიონის მშენებლობა, სადაც ნიადაგს გაათბობენ... ელექტრონით, 60 გამთბობი ელემენტი ჩაწყობილია 30 სანტიმეტრის სიღრმეზე ერთმანეთისგან ასეთივე მანძილის დაშორებით. გასათბობად გამოიყენებენ 630 კილოვატსაათის სიმძლავრეს.

საფეხბურთო სეზონი ჩრდილოეთის ამ ქვეყანაში იწყება აპრილის შუა რიცხვებში და ოქტომბრამდე გრძელდება. გამთბობი სისტემის დახმარებით ნორვეგიელები აპირებენ გაახანგრძლივონ სეზონი გაზაფხულზე და შემოდგომით 5-6 კვირით.

ელექტრული გათბობის ხარჯზე უმჯობესდება სხვა სპორტულ შეჯიბრებათა პირობებიც.

2×5

◆ პოტსდამი, 5 ივნისი. გდრ-ის ბევრი უძლიერესი მძლეოსანი გამოვიდა ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში. უნდა ითქვას, რომ შედეგებიც მაღალი იყო. მაგალითად, ბ. დისნერმა წინაღობებით 3000 მეტრზე რბენაში აჩვენა მსოფლიოში საუკეთესო დრო — 8.49,4. ევროპის ჩემპიონმა ი. ჰააზემ 5 კილომეტრი გაირბინა 13.43,6-ში. რ. ბეტგემ 110 მეტრზე თარჯრბენში 14,0 წამი აჩვენა. მძლეოსანმა ქალმა კ. ილგენმა ბადრო ტყორცნა 58,20 მეტრზე.

◆ ჰელსინკი, 5 ივნისი. ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ლ. აველანჰა შუბი ტყორცნა 81,10 მეტრზე, ს. სირიოლა საუკეთესო იყო ბირთვის მკვრელთა შორის — 19,04 მ.

◆ ბარსელონა, 5 ივნისი. 26 წლის იტალიელმა ფ. არეზემ ესპანეთის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში 1500 მეტრზე აჩვენა 3.38,7. ეს შედეგი ამ სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში. ორი გამარჯვება მოიპოვეს ფრანგმა სპორტსმენებმა: ჟ.-კ. ნალემ 400 მეტრი გაირბინა 46,8 წამში, ჟ. პანიმ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 778 სმ, შუბი ყველაზე შორს ტყორცნა ვ. ნიკიჩუკმა—(პოლონეთი)—78,82 მ.

◆ პარიზი, 5 ივნისი. აქ გამართულ ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ო. მოროზოვასა და ა. მეტრეველის დუეტი 8 უძლიერეს წყვილთა შორის გავიდა. მეოთხედფინალში საბჭოთა სპორტსმენები მ. კურტს (ავსტრალია) და ზ. ფრანულოვიჩს (იუგოსლავია) შეხვდნენ და დამარცხდნენ — 4:6, 9:7, 7:9.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 1 რესპუბლიკური სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის VI-VII-VIII კლასებში — ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობისა და ველოსპორტის განხრით.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან: VI კლასში — 1958 წელს, VII კლასში — 1957 წელს, VIII კლასში — 1956 წელს დაბადებულნი.

IX კლასში გამონაკლისის სახით მიიღებიან კარგი სპორტული მონაცემების მქონე 1955-56 წლებში დაბადებული ველოსიპედისტები და მძლეოსნები.

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებმა 20 აგვისტომდე უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება სკოლა-ინტერნატის დირექტორის სახელზე.
2. დაბადების მოწმობა ან ასლი.
3. ცნობა რომელ კლასში სწავლობს.
4. ნიშნების ფურცელი.
5. დახასიათება.
6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
7. სამედიცინო ცნობა, ფორმა № 286, № 191, № 26.
8. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, დაბადების წლებისა და საქმიანობის ჩვენებით.
9. ცნობა მშობლების ხელფასის (ცალ-ცალკე) შესახებ.
10. სამი ფოტოსურათი 3×4.

შემოწმება სპორტულ მომზადებაში ჩატარდება 21-22 და 24-27 აგვისტოს. სწავლება ქართულ ენაზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატში ყოველდღე 9-დან 18 საათამდე.

მისამართი: თბილისი, გლდანი, № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატი.

ტელეფონი 66-29-59.

დირექცია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 რესპუბლიკური სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისთვის.

მოსწავლეები (როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები) მიიღებიან III, IV, V, VI კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, ბადმინტონისა და აკრობატიკის განხრით. III კლასში ჩაირიცხებიან 1961 წელს, IV — 1960 წელს, V — 1959 წელსა და VI კლასში 1958 წელს დაბადებული ბავშვები. სწავლება ქართულ ენაზეა.

სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხთა შემოწმება სპორტულ მომზადებაში ჩატარდება სკოლა-ინტერნატში 20-დან 30 აგვისტომდე.

მსურველებს ცნობების მიღება შეუძლიათ ყოველდღიურად სკოლა-ინტერნატში. მისამართი: თბილისი, გლდანი, № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ტელეფონი 66-41-34.

დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 18. უე 03274